2602/3-92/22 2 22032022

2602/3-92/22
22-03-2022

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი ლექვინაძეს

ბატონო ირაკლი,

ჩემს ელექტრონულ მისამართზე შემოსული კასპის მუნიციპალიტეტის, სოფელ აღაიანში არსებული შუშის გადამამუშავებელი საწარმოს შპს „კერე"-ს დირექტორის წერილობითი ინფორმაციის თანახმად, ქვეყნიდან ყოველგვარი გადამუშავების გარეშე ხდება მინის ნარჩენების ექსპორტი, რის საფუძველზეც მის ქარხანას შეექმნა პრობლემები ნედლეულის დეფიციტის გამო.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შუშის ნარჩენების შეგროვების/გადამამუშავებელი დარგის სფეროში კონკურენტული პირობების შესახებ, თუ რამდენადაა დაცული სამართლიანი კონკურენციული გარემო. შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, განახორციელოთ აღნიშნული ბაზრის მონიტორინგი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ეკა სეფაშვილი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

N 02/300
04/04/2022

300-01-2-202204041542

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ეკა სეფაშვილს

ქალბატონო ეკა,

თქვენი 2022 წლის 22 მარტის N2602/3-92/22 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს არ უწარმოებია შუშის ნარჩენების შეგროვების/გადამუშავების დარგის სფეროში ბაზრის მონიტორინგი/მოკვლევა, შესაბამისად, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შესახებ.

აქვე გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 31 მარტიდან, სააგენტომ დაიწყო შუშის ნარჩენების შეგროვების/გადამუშავების ბაზრის მონიტორინგი.

პატივისცემით,

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

დ.აღმაშენებლის გამზ № 154, 0102 თბილისი, საქართველო
ტელ: 995 32 2440-770 (2174/2467)
www. competition.ge
e-mail: info-gca@competition.ge